საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 23 სექტემბერი 2024 წ.

ბრძანება №01-08/55

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების დადგენის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის; „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესიის შესახებ" დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდიების მოსაპოვებლად:

საუნივერსიტეტო სტიპენდია:

ა. აბუსერისძე ტბელის სახელობის - 1 ადგილი
ბ. ფრიდონ ხალვაშის სახელობის - 1 ადგილი

საფაკულტეტო სტიპენდია:

ა. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე:

სასცენო ხელოვნების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე - იუსუფ კობალაძის სახელობის - 1 ადგილი

სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე - დავით კაკაბაძის სახელობის - 1 ადგილი

კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამებზე - ზაზა ხალვაშის სახელობის - 1 ადგილი

ბ. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:

- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის - 1 ადგილი
- სულიკო ჟღენტის სახელობის - 1 ადგილი

გ. მუსიკის ფაკულტეტზე - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის - 1 ადგილი

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადების წარდგენის უფლება აქვს ბხსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუ-დენტებს სწავლების მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), თუ:

ა) **საუნივერსიტეტო სტიპენდიის მისაღებად** კონკურსის გამოცხადების მომენ-ტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა,

ბ) საფაკულტეტო სტიპენდიის მისაღებად:

საშემსრულებლო მიმართულებით:

– სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენ-ტისათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამის სპეციალობის ძირითად დისციპლინებში აქვს 81 და მეტი ქულა; ყველა დანარჩენ დისციპლინაში კი აქვს შეფასება 71 და მეტი ქულა.

- შესაბამისი სპეციალობის მიხედვით აქვს შემოქმედებითი აქტივობა და წარმატებები (მონაწილეობა გამოფენებში, კონცერტებში, კონკურსებში, სპექტაკლები და ა.შ.)

თეორიული მიმართულებით:

ა) სახელობითი სტიპენდიის კანდიდატს კონკურსის გამოცხადების მომენტი-სათვის ბოლო ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა დისციპლინაში აქვს 91 და მეტი ქულა, ან, გამონაკლის შემთხვევაში, დისციპ-ლინების 1/4 -ში აქვს შეფასება 81 და მეტი ქულა.

ბ) გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი შესაბამის სპეციალობაში ან არის სხვადასხვა სამეცნიერო ან სასწავლო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების და ა. შ. მონაწილე და აქვს მიღწევები.

3. საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ა) განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, (დანართი 1)

ბ) სასწავლო-შემოქმედებით/სამეცნიერო ავტობიოგრაფიას (CV). (დანართი 2)

გ) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, სიმპოზიუმის, შემოქმედებითი წარმატებების და სხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომ(ებ)ის, სიგელ(ებ)ის, სერთიფიკატის, პროგრამების და სხვა.

დ) პირადობის მოწმობის ასლს;

ე) სტუდენტის აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი სასწავლო ბარათის ასლს ფაკულტეტის დეკანის მიერ დამოწმებულს;

ვ) სტუდენტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომ(ებ)ის დედანს ან დამოწმებულ ასლს;

ზ) არანაკლებ ერთ რეკომენდაციას პროფესორისაგან, რომელიც კარგად იცნობს პრეტენდენტის სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო საქმიანობას.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის მიერ არ განიხილება (არ შეფასდება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კონკურსანტის მიერ არ არის წარმოდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია;

ბ) თუ კონკურსანტის მიერ ინფორმაცია/დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.);

გ) თუ კონკურსანტს აქვს ფინანსური დავალიანება;

დ) „წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესი“-ით აკრძალულ სხვა შემთხვევებში.

5. რეგისტრაცია იწარმოებს 2024 წლის 10 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ.№19/32, ოთახი №103; 12 საათიდან - 15 საათამდე.

6. კონკურსანტთა განცხადებების განხილვა და შედეგების გამოქვეყნება იწარმოებს არაუგვიანეს 2024 წლის 22 ოქტომბრისა.

ოქტომბრისა.

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ხელოვნების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **თეიმურაზ კეჟერაძე**